სამედიცინო დაწესებულება

ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. #17

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

შპს "სითი და კო"

თბილისი
2023

განმარტებითი ბარათი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, პ. სარაჯიშვილის ქ №17-ში (ს/კ 01.10.10.003.005) საავადმყოფოს მშენებლობის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობის და ეტაპების მიხედვით. მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №255 მუხლების 18-20-ის თანახმად.

ტერიტორიაზე განთავსება ერთი ექვს სართულიანი შენობა საპროექტო შენობის კონსტრუქციას წარმოადგენს - რკინა-ბეტონის კარკასი, რომელიც შევსებულია სამშენებლობლოკით. შენობებს აქვს ბრტყელი სახურავი.

მშენებლობის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 24 თვით, 2 რიგით და 11 ეტაპით.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები

N	მაჩვენებელი	ერთ. გან	რაოდენობა
1	**განაშენიანების ფართი**	მ2	6935.02
2	**საერთო ფართი**	მ2	6049,01
3	**საოფისე ფართი**	მ2	267,76
4	**საზაფხულო ფართი**	მ2	247,20
5	**კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი**	მ2	1488,70
6	**დამხმარე ფართი**	მ2	370,82
7	**სასწავლო აუდიტორიის ფართი**	მ2	267,60
8	**პალატების ფართი**	მ2	2388,14
9	**საორდინატოროს ფართი**	მ2	1018,79

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საკვლევი უბანი წარმოადგენს ხელოვნურად მოსწორებულ მოედანს ,რომელიც გადაფარულია ტექნოგენური გრუნტით და მეოთხეული ნალექებით (ძირითადად თიხნარებით). ტერიტორიაზე გავრცელებულია შემდეგი ფენები:

--**ფენა №1 ტექნოგენური ნაყარი გრუნტი**, ფენის სიმძლავრე 2.0-4.8მ. ტექნოგენურ გრუნტზე, მისი არაერთგვაროვანი შემადგენლობის გამო კვლევები არ ჩატარებულა. სავარაუდოდ ეს ფენა ქვაბულის გახსნისას მოცილებული იქნება

--**ფენა №2 სგე I - თიხნარი** ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ღორღის 10%-მდე ჩანართებით, სიმძლავრით 1.7-3.0 მ.;

--**ფენა №3 სგე II – თიხნარი**, ყავისფერი, მყარი, ღორღის 10%-მდე ჩანართებით. სიმძლავრით 4.4-6.9 მ

--**ფენა №4 ძლიერ გამოფიტული, ყავისფერი თხელშრეებრივი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა,** გამოვლენილია მხოლოდ №1 ჭაბურღილში 3.5მ სიმძლავრით. ფრაგმენტული გამოსავლის გამო ლაბორატორიული კვლევები ამ ფენაზე არ ჩატარებულა.

საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის განისაზღვრება. СниП 1.04.03-85

N	შენობა-ნაგებობა	ერთ გან	СниП 1.04.03-85		
			ანალოგი	გვ 4 პ 17-ის მიხედვით	სადემონტაჟო სამუშაოების გათვალისწ.
1	საპროექტო შენობა	თვე	გვ 487. პ 1 T=28.00	T=28.00x1.15=33.00	T=33.00+3.00=36.00

2. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

--ხეების გადანერგვა;
--სამი შენობა-ნაგებობის აღება;
--ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ღობით;
--დროებითი "შენობა-ნაგებობების"განლაგება თავისუფალ, უსაფრთხო ტერიტორიაზე;
--სამშენებლო ნაგვის გატანა;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სამშენებლო მასალების შემოტანა სამშენებლო მოედანზე;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

1, სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით. **უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის** მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება!

აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება **ორი-სამი კონსტრუქციების ერთად**!

სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

2,კონსტრუქციის დროებითი გამაგრება /საჭიროების შემთხვევაში/, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა: სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეჩერება** და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის **გამაგრება.** ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. ყველა შიდადა გარე ქსელი /არსებობის შემთხვევაში/ უნდა იქნას გამორთული. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი. ქვესადგურის ანაკრები ფილების დემონტაჟი განხორციელდეს საავტომობილო ამწის საშუალებით /იხილე ნახაზი მო-1/.

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით მთლიანი მოცულობის დატვირთვით და გატანით. არსებულ ქსელებთან გრუნტის დამუშავება მოხდეს მარტო ხელით. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნას შემოტანილი ადგილზე. ქვაბულის დამუშავებისას გათვალისწინდეს წყალქცევითი სამუშაოები.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად. დამუშავების სიღრმე 1.5მ-მდე, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:0.67;

--კენჭნარი 1:0.5

დამუშავების სიღრმე 3,20-მდე, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:1;

--კენჭნარი 1:1

დამუშავების სიღრმე 4.0მ-მდე, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:1.25;

--კენჭნარი 1:1

ფენა №№3,4-ის დამუშავება მოხდეს წინასწარი გაფხვიერებით.

1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ითვალისწინებს კოშკური ამწე Liebherr-ს /იხილე გრაფიკული ნაწილი, ნახ. მო1 და მო-2 და სტაციონალური ბეტონის ტუმბოს გამოყენაბას.

კოშკური ამწე **Liebherr 132EC-H10** მუშაობისას **უნდა მოხდეს**:

--მექანიზმის დაყენება "ზ-თ" და 1-1 ღერძებს შორის, ქვაბულის ძირზე მოჩარჩოებულ მონაკვეთში;

--ურიკის მოძრაობის შეზღუდვა;

--უკანა ნაწილის ზომის გათვალისწინება საშიში ზონის განსაზღვრის დროს; (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

--მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება;

--ლიფტიანი სამშენებლო საწევლა SC1432-ის დაყენება /მუშების გადაადგილებისათვის/;

--ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეული სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით;

--მოჩარჩოებული მონაკვეთის გადახურვების აღდგენა ამწის დემონტაჟის შემდეგ

3. პირველი რიგი---------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

პირველი ეტაპი მოედნის მოწესრიგება _____ **60 დღე;**
--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება_____**30 დღე;**
მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:
--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე_____ **90 დღე;**
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან_____ **180 დღე;**
--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა---------- **60 დღე;**
--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა---------- **120 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა_____ **150 დღე;**
--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი---------- **90 დღე;**
--მეცხრე ეტაპი-----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები---**120 დღე;**
--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები---------- **60 დღე.**

4. უსაფრთხოების ტექნიკა

სამშენებლო მოედანზე სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების ნორმები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (მშენებლობის უსაფრთხოების წესები დადგენილება №361, თარიღი 27.05.2014 წ.);
ბეტონის ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან; მშენებლობის დროს საჭიროა სერტიფიცირებული მასალებისა და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში;
ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მსგავსი მასალების, ასევე მომწამვლელი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას; სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისას მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, სპეცფეხსაცმელს, რესპირატორებსა და ჩაფხუტებს;
ელექტრო სადენები და მოწყობილობები უნდა იყოს იზოლირებული ჩაკეტილ მდგომარეობაში, დაუშვებელია გაშიშვლებული სადენების გამოყენება

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილი

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა

იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.
სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

5. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.
პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:
კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.
კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპიროწყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.
კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთიერების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.
გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.
მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია,

რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

6. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 და მო-3 ერთად.

SC1432---ის ტექნიკური დახასიათება

1. ტვირთამწეობა _____1400.00კგ
2. აწევის სიმაღლე _____ 200.00მ

Liebherr 132EC-H10---ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის სიგრძე _____40.00მ
2 აწევის სიმაღლე მაქსიმალური ----------70.00მ
3 მაქსიმალური ტვირთამწეობა ---------- --8.00ტნ

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P- 715-ის ტექნიკური დახასიათება**

1 დანადგარის ზომები _____3.00x1.39x1.39მ
2 მექანიზმის წონა _____1700.00კგ
3 წვდომა:
-ვერიკალურად _____60.00მ
-ჰორიზონტალურად _____200.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება ჩანაცვლდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

მშენებლობის ორგანიზების პროექტი



ფორმატი	A-3

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები

სიტუაციური სქემა

დამკვეთი

შპს "სითი და კო"

პროექტი

საავადმყოფო

მისამართი

ქ. თბილისი,
სარაჯიშვილის ქ. #17

შპს "სითი და კო"

ქ. თბილისი,
მ. გელოვანის გამზ. #52

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. ანთაძე	
ავტორი	ე. ედიშერაშვილი	
არქიტექტორი	ე. ედიშერაშვილი	
არქიტექტორი	თ. გალოგრე	

არქიტექტურული ნაწილი

სტადია
პროექტი

ნახაზი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

მასშტაბი:	თარიღი:	ფურცელი:
	5/04/2023	A-702

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი - კალენდარული გრაფიკი

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	თვეების რაოდენობა მშენებლობის პერიოდის მიხედვით																							
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	I რიგის სამუშაოები																								
1	მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობის დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან; შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან.																								
2	შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება																								
	II რიგის სამუშაოები																								
3	შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები																								
4	შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები																								
5	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნული ნიშნულიდან ზემოთ																								
6	შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა																								
7	არამზიდი კონსტრუქციის მოწყობა																								
8	შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა																								
9	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი																								
10	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები																								
11	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები																								

ფორმატი A-3

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები

სიტუაციური სქემა

დამკვეთი

შპს "სითი და კო"

პროექტი

საავადმყოფო

მისამართი

ქ. თბილისი,
სარაჯიშვილის ქ. #17

შპს "სითი და კო"
ქ. თბილისი,
მ. გელოვანის გამზ. #52

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. ანთაძე	
ავტორი	ე. ედიშერაშვილი	
არქიტექტორი	ე. ედიშერაშვილი	
არქიტექტორი	თ. გალოგრე	

არქიტექტურული ნაწილი

სტადია: პროექტი

ნახაზი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

მასშტაბი:	თარიღი:	ფურცელი:
	5/04/2023	A-703

მშენებლობის ორგანიზების პროექტი



მითითება: 1 შენობის გარე კედლის ზოლზე თუ ხაჭირო გახდება, სამშენებლო ელექტრომავალას დაქენება, მშენებლობის კერიოდში ადგილზე გადაწყდეს მისი მდებარეობა
2 სამშენებლო ზოლის გასწვრივ, აუცილებელია ეკოლოგიური და ბუნების დაცვითი მოთხოვნების დაცვა.
3 სამუშაოები უნდა წარმართოს შრომის, ელექტრო და ხანძარ-უსაფრთხოების ღონისძიებების გათვალისწინებით, თანახმად საქართველოს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობისა

ფორმატი A-3

პირობითი აღნიშვნები

ექსპლიკაცია:
1.შენობა #1
2.შეობა #2
3.სამშენებლო ღობე
4.სამშენებლო ტექნიკის სადგომი მოედანი
5.მობილური ამწე
6.მასალა-ნაკეთობათა დროებითი განსათავსებელი ღია მოედანი
7.დაცვის ჯიხური

შენიშვნები

სიტუაციური სქემა

დამკვეთი
შპს "სითი და კო"

პროექტი
საავადმყოფო

მისამართი
ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. #17

შპს "სითი და კო"
ქ. თბილისი, მ. გელოვანის გამზ. #52

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. ანთაძე	
ავტორი	ე. ედიშერაშვილი	
არქიტექტორი	ე. ედიშერაშვილი	
არქიტექტორი	თ. გალოგრე	

არქიტექტურული ნაწილი

სტადია: პროექტი

ნახაზი: მშენებლობის ორგანიზების პროექტი

მასშტაბი: 1:500 | თარიღი: 5/04/2023 | ფურცელი: A-704